

ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივის (EED) მიმოხილვა

სამუშაო შეხვედრა
ენერგოეფექტურობის შესახებ
ევროკავშირის დირექტივის (EED) მე-7,
მე-8 და მე-16 მუხლებთან
დაკავშირებით ინდუსტრიაზე
ფოკუსირებით



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო (AEA)
გრეგორ თენიუსი | 2018 წლის 5 ივნისი, თბილისი

ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა

ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EED)

დირექტივა 2012/27/EU

- აუქმებს დირექტივებს 2004/8/EG (კომბინირებული გათბობისა და ენერჯის შესახებ) და 2006/32/EG (ენერგო მომსახურებების შესახებ)
- შეაქვს ცვლილებები 2009/125/EG (ეკოდიზაინი) და 2010/30/EU (ეტიკეტირება) დირექტივებში
- ძალაშია 2012 წლის 5 დეკემბრიდან

ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EED) წარმოადგენს 4 ძირითადი პრინციპიდან ერთერთს ენერგოეფექტურობის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობაში

- ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EED)
- შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EPBD)
- ეკოდიზაინის შესახებ დირექტივა
- ეტიკეტირების შესახებ დირექტივა



ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EED) – ყველაზე მნიშვნელოვანი მესიჯები

- მიმდინარე ძალისხმევები ვერ უზრუნველყოფს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით ევროკავშირის 2020 წლის მიზნების მიღწევას (ენერჯის მოხმარების 20%-ით შემცირება PRIMES-ის 2007 წლის უცვლელ სცენართან შედარებით)
- საჭიროა დამატებითი და სავალდებულო ღონისძიებები
- კიდევ უფრო რაოდენობრივი და სავალდებულო ხასიათის სამიზნეები
- უფრო კონკრეტული ღონისძიებები და მოთხოვნები
- სანქციები დარღვევის შემთხვევაში



ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EED) – სარჩევი

ეფექტურობა ენერჯის მოხმარებაში

- მუხლი 3 ენერგოეფექტურობის სამიზნეები
- მუხლი 4 შენობა-ნაგებობების რემონტი
- მუხლი 5 საჯარო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების სამაგალითო როლი
- მუხლი 6 სახელმწიფო ორგანოების მიერ შესყიდვა
- მუხლი 7 ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემები
- მუხლი 8 ენერგო აუდიტები და ენერჯის მართვის სისტემები
- მუხლი 9 გაზომვა
- მუხლი 10 საბილინგო ინფორმაცია
- მუხლი 11 გაზომვებისა და საბილინგო ინფორმაციასთან წვდომის საფასური
- მუხლი 12 სამომხმარებლო ინფორმაცია და გაძლიერების პროგრამა
- მუხლი 13 ჯარიმები



ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა (EED) – სარჩევი

ეფექტურობა ენერგო მომარაგებაში

მუხლი 14

ეფექტურობის ხელშეწყობა გათბობისა და გაგრილების პროცესში

მუხლი 15

ენერგიის ტრანსფორმაცია, გადაცემა და განაწილება

ჰორიზონტალური დებულებები

მუხლი 16

კვალიფიკაციის, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემები

მუხლი 17

ინფორმაცია და ტრენინგი

მუხლი 18

ენერგო მომსახურება

მუხლი 19

ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის სხვა ღონისძიებები

მუხლი 20

ენერგოეფექტურობის ეროვნული ფონდი, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა



ენერგოეფექტურობის მიზანი (მუხლი 3)

ენერგოეფექტურობის ეროვნული საინდიკაციო მიზანი 2020 წლისთვის



ნებისმიერ შემთხვევაში გამოხატულია პირველადი ან საბოლოო ენერგომომხმარებით 2020 წელს

ევროკავშირის ფარგლებში 20%-იანი შემცირების მიზანი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული (ენერგომომხმარების 20%-ით შემცირება PRIMES-ის 2007 წლის უცვლელ სცენართან შედარებით).

ევროკომისია აფასებს ეროვნულ სამიზნეებს.

შენობა-ნაგებობების რემონტი და სახელმწიფო შეყიდვა (მუხლები 4 და 6)

- ინვესტიციების მობილიზების გრძელვადიანი სტრატეგია ეროვნული სამშენებლო ინვენტარის მარაგის განახლებისთვის (საჯარო და კერძო)
 - ეროვნული სამშენებლო ინვენტარის მიმოხილვა
 - ხარჯეფექტიანი სარემონტო პოტენციალის იდენტიფიცირება
 - შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის სტრატეგიებისა და ღონისძიებების ინიცირება
 - მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივა (გრძელვადიანი)
 - მოსალოდნელი დანაზოგის და სხვა სარგებლის შეფასება
 - პირველი ვერსია 30.4.2014 წლისთვის, შემდეგ ყოველ 3 წელში
 - JRC ანგარიში გრძელვადიანი სტრატეგიების შესახებ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში:
http://publications.jrc.ec.europa.eu/repository/bitstream/JRC97754/syntesis%20report%20building%20renovation%20strategies_online%20fin.pdf
- ცენტრალური ხელისუფლება შეისყიდის მხოლოდ იმ პროდუქტებს, მომსახურებებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მაღალი ენერგოეფექტურობა

საჯარო შენობა-ნაგებობები (მუხლი 5)

- სარემონტო სამუშაოების 3%-იანი განაკვეთი
 - ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაში არსებული და დაკავებული შენობა-ნაგებობები
 - 500მ²-ზე მეტი ფართობი, ხოლო 9.7.2015 წლიდან 250მ²-ზე მეტი ფართობი
 - შენობა-ნაგებობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ეროვნულ მინიმალურ მოთხოვნებს EPBD-ის შესაბამისად
 - შესაძლებელია გამოირიცხოს შენობათა შემდეგი კატეგორიები: (1) სპეციალური არქიტექტურული ან ისტორიული დანიშნულების ნაგებობები, (2) ნაგებობები, რომლებიც ემსახურება ეროვნული თავდაცვის მიზნებს, (3) რელიგიური საქმიანობისათვის განკუთვნილი ნაგებობები
- შენობების ინვენტარი
 - ფართობი წარმოდგენილია მ²-ში
 - ენერგოეფექტურობა
- ალტერნატივა
 - დანაზოგის იგივე ოდენობა შენობა-ნაგებობებში სხვა ხარჯეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებით

ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემები (მუხლი 7)

- ვალდებული: დისტრიბუტორები ან ენერჯის საცალო რეალიზატორი კომპანიები
- საბოლოო მომხმარებლების მიმართ წინა წლის ენერჯის რეალიზაციის 1.5%-ის ოდენობის წლიური ახალი დანაზოგები
- ღონისძიებები საბოლოო მომხმარებლებთან (ეფექტური ტექნოლოგიების მონტაჟი, კონსულტაციის გაწევა...)
- დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა

თუმცა

- დასაშვებია ვალდებულების სქემის ალტერნატივები
- მიღწეულ უნდა იქნას ვალდებულების სქემაში წარმოდგენილი დანაზოგების ექვივალენტური დანაზოგები
- გადასახადები, სუბსიდიები, სტანდარტები, ეტიკეტების სქემები, ნებაყოფლობითი შეთანხმებები ...



ენერგო აუდიტები და ენერჯის მართვის სისტემები (მუხლი 8)



- აუდიტის ვალდებულება არა-მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
 - ენერგო აუდიტის ჩატარების ვალდებულება 5.12.2015 წლამდე, შემდეგ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ
 - ხარჯეფექტიანი, დამოუკიდებელი, კვალიფიციური და / ან აკრედიტირებული ექსპერტები
 - ხარისხის მინიმალური კრიტერიუმები (დანართი VI)
 - დამოუკიდებელი ორგანოების ზედამხედველობას დაქვემდებარება
 - კომპანიები, რომლებიც ნერგავენ ენერგო ან გარემოს მართვის სისტემას, გათავისუფლდებიან აუდიტის ვალდებულებისგან
- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ პროგრამებს მცირე და საშუალო საწარმოების და შინამეურნეობების წახალისების მიზნით, რათა სისრულეში მოიყვანონ ენერგო აუდიტი
- აუდიტის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გამოწვევები
 - არა-მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება
 - მულტინაციონალური საწარმოების დამუშავება
 - საერთაშორისო ტრანსპორტი (ავიაცია, საზღვაო)
 - პროპორციულობა, წარმომადგენლობითი ხასიათი



ეფექტურობის ხელშეწყობა გათბობისა და გაგრილების პროცესში (მუხლი 14)

ძირითადი ვალდებულებები:

- მაღალეფექტური კოგენერაციის და რაიონის ეფექტური გათბობის და გაგრილების მიზნით პოტენციალის სრულფასოვანი შეფასების მომზადება
- სათანადო ზომების მიღება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ხარჯთსარგებლიანობის გადაჭარბების პოტენციალი
- ადგილობრივი და რეგიონალური დონეების შესაბამისი პოლიტიკის მიღება პოტენციალის ჯეროვნად გათვალისწინების სტიმულირების მიზნით
- ავტორიზაციის / ნებართვის გაცემის კრიტერიუმების დამტკიცება შემდეგის უზრუნველყოფის მიზნით:
 - ინდივიდუალური ინსტალაციები უზრუნველყოფს ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს
 - წარმოდგენილი იქნება ამომწურავი შეფასების შედეგი და CBA
- გამონაკლისების შეტყობინება
- მაღალეფექტიანი (HE) CHP-ს წარმოშობის გარანტია
- ანგარიშგება ყოველწლიურად და ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში (NEEAP)



კვალიფიკაციის, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების ხელმისაწვდომობა (მუხლი 16)



- ტექნიკური კომპეტენციის, ობიექტურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა
- კვალიფიკაციის და/ან აკრედიტაციის და/ან სერტიფიცირების სქემების იმპლემენტაცია

- ენერგო მომსახურებების პროვაიდერებისთვის
- ენერგო აუდიტორებისთვის
- ენერგო მენეჯერებისთვის
- მემონტაჟებისთვის



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

ენერგო მომსახურებები (მუხლი 18)

ენერგო მომსახურებების ბაზრისა და აღნიშნულ ბაზარზე მცირე და საშუალო საწარმოების შესვლის ხელშეწყობა:

- ინფორმაციის გავრცელება ენერგო მომსახურების ხელშეკრულებებისა და დებულებების შესახებ, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების, წახალისების, გრანტებისა და სესხების შესახებ
- ხარისხის ეტიკეტების შემუშავების ხელშეწყობა
- ხელმისაწვდომი ენერგო მომსახურების პროვაიდერების ჩამონათვალი მე-16 მუხლის შესაბამისად
- ენერგო მომსახურების შეთავაზებების მიმართ, კერძოდ, შენობა-ნაგებობების რემონტთან დაკავშირებით, საჯარო სექტორის მხარდაჭერა ხელშეკრულებების ნიმუშებისა და საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველყოფის გზით
- ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) ხარისხობრივი მიმოხილვა ენერგო მომსახურების ბაზართან დაკავშირებით.

ენერგო მომსახურების ბაზრის სათანადო ფუნქციონირების ხელშეწყობა:

- ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო პირების იდენტიფიცირება და გამოაქვეყნება
- მარეგულირებელი და არა-მარეგულირებელი ბარიერების გაუქმება
- დამოუკიდებელი მექანიზმის, როგორცაა ომბუდსმენი, როლის დანერგვის ან მინიჭების მხედველობაში მიღება
- დამოუკიდებელი საბაზრო შუამავლების ჩართვა

ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივის (EED) დასკვნითი ნაწილი: სავალდებულო ღონისძიებები

- საჯარო შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების 3%-იანი განაკვეთი, მუხლი 5:
 - ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაში არსებული ან მის მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობების რემონტი
- ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემა, მუხლი 7:
 - წლიურად 1.5% ენერგო დანაზოგები
 - ენერჯის დისტრიბუტორები / პროვაიდერები ან ალტერნატიული ღონისძიებები
- სავალდებულო მარეგულირებელი ენერგო აუდიტები, მუხლი 8:
 - არა-მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
 - მინიმალური კრიტერიუმები, რომლებიც საჭიროებს განსაზღვრას
- ჯარიმები
 - ეფექტური, პროპორციული და ამკრძალავი

შეჯამება ენერგომომხმარებლის
შესახებ დირექტივიდან
ენერგოეფექტურობის შესახებ
დირექტივამდე

ESD – 2006/32/EC

EED – 2012/27/EU

ხანგრძლივობა

2008 - 2016

2014 - 2020

სამიზნეები

- 9% 2016 წელს
- შუალედური სამიზნე 2010 წლისთვის
- საფუძველი: საბოლოო ენერგო მოხმარება გამორიცხავს კომპანიების მიერ მოხმარებას ემისიების რეალიზაციის სქემისა და სამხედრო ასპექტების მიხედვით საშუალოდ 2001 – 2005
- საინდიკაციო

- 2020 წელს პირველადი და საბოლოო ენერგო მოხმარების აბსოლუტური ღირებულება
- ევროკავშირის 20%-იანი შემცირების მიზანი მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში
- კომისიის მიერ შეფასება 2014 წლის 30 ივნისამდე
- საინდიკაციო

ფინანსური სანქციები

- არავითარი

- უნდა განისაზღვროს



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

ESD – 2006/32/EC

EED – 2012/27/EU

საჯარო სექტორთან დაკავშირებული მოთხოვნები

- სამაგალითო როლი
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მინიმუმ ორი ღონისძიების განხორციელება (დირექტივის დანართი VI)
- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, პოტენციალის განვითარება

- შესყიდვები: მხოლოდ მაღალი ენერგოეფექტურობის მქონე პროდუქცია, მომსახურება და შენობა-ნაგებობები
- საჯარო შენობა-ნაგებობები:
 - 1.1.2014 წლიდან სარემონტო სამუშაოების წელიწადში მინიმუმ 3% - იანი განაკვეთი
 - საფუძველი: ცენტრალური ხელისუფლების შენობა-ნაგებობები > 500 მ², 2015 წლის ივნისიდან > 250 მ²
 - ალტერნატიული ღონისძიებები, დანაზოგის იგივე ოდენობის მისაღწევად
- საჯარო შენობა-ნაგებობების სახელმწიფო ინვენტარიზაცია
- ენერგოეფექტურობის გეგმა დანაზოგების სამიზნეობით
- ენერჯის მართვის დანერგვა



ESD – 2006/32/EC

EED – 2012/27/EU

ენერჯის დისტრიბუტორებსა და პროვაიდერებთან დაკავშირებული მოთხოვნები

- მონაცემებისა და ინფორმაციის უზრუნველყოფა ენერგოეფექტურობის შესახებ პროგრამებთან დაკავშირებით
- ისეთი ღონისძიებებისგან თავის შეკავება, რომლებიც ხელს უშლის ენერგოეფექტურობის მიღწევას
- მომხმარებლის მიმართ შემდეგის შეთავაზება
 - ენერგო მომსახურებები
 - ენერგო აუდიტები
 - ან მონაწილეობის მიღება ენერგოეფექტურობის ფონდებში ან სხვა საფინანსო ინსტრუმენტებში
- შესაძლებელია ნებაყოფლობითი შეთანხმებები

- ვალდებულება: მომხმარებლებთან არსებული დანაზოგების გაანალიზება, რომელიც შეადგენს ენერჯის რეალიზაციის 1,5% -ს
- დანაზოგის სამიზნე შეიძლება გამოიხატოს პირველადი ან საბოლოო ენერჯით
- კომპანიების დანაზოგების გამოქვეყნება ყოველწლიურად
- ვალდებულების ალტერნატივა დასაშვებია, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მიაღწევს დანაზოგის იგივე ოდენობას



ESD – 2006/32/EC

ენერგო აუდიტები და ენერჯის მართვა

- ენერგო აუდიტის უსაფრთხო ხელმისაწვდომობა
- ფოკუსირება მცირე მომხმარებლებზე

EED – 2012/27/EU

- მსხვილი კომპანიების (არა-მცირე და საშუალო საწარმოების) ვალდებულება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ენერგო აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით
- ან ენერჯის მართვის სისტემის დანერგვის ვალდებულება (ექვივალენტური)


ანგარიშგება

- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმები:
- 30.6.2007 წ.
- 30.6.2011 წ.
- 30.6.2014 წ.

- ყოველი წლის 30 აპრილს: წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშგება
- 30.4.2014 წ., შემდეგ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმები
- 30.6.2018 წ. ევროკომისიის ანგარიში შესაძლო დამატებითი ღონისძიებების შესახებ



EED – ურთიერთკავშირები



საკონტაქტო ინფორმაცია

გრეგორ თენიუსი
ენერგო პოლიტიკის ექსპერტი

Österreichische Energieagentur - ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო

gregor.thenius@energyagency.at ტელ: +43 (0)1 586 15 24 - 145

მარიაჰილფერის ქუჩა 136 | 1150 ვენა | ავსტრია

www.energyagency.at



@at_AEA



ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტო სერტიფიცირებულია ÖNORM ISO 50001:2011 და ISO 29990:2010
სტანდარტების შესაბამისად.